პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 243
(6052)
13 დეკემბერი, 1977 წ.
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი

კალათბურთი, ცსკა და სხვანი

თბილისი. სპორტის სასახლე. 10 დეკემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა 83:87 (51:45).

„დინამო“: ძიძიგური, ჩხიკვაძე, გარუჩავა, ბიჭიაშვილი, ჩიხლაძე, გრძელიძე, დერიუგინი, მ. ქორქია, პეიშვილი, პულავსკი.

ცსკა: ერიომინი, მილოსერდოვი, ჟარმუხამედოვი, ლოპატოვი, მელეშკინი, მიშკინი, პეტრაკოვი, ე. კოვალენკო, ს. კოვალენკო.

მსაჯები: ი. მუხამეძიანოვი (ყაზანი), მ. ბერნაცი (ლიეპაია).

ორი გუნდი ერთ კოლექტივში — ამგვარი განსაზღვრა სავსებით მიესადაგება ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონს ცსკა-ს გუნდს, რომლის შემადგენლობაში იმდენი ექსტრაკლასის კალათბურთელია, რომ კაცს ძალაუნებურად ათქმევინებს: ორი გამოიჭრებაო. აი ასეთი მეტოქე ჰყავდა თბილისის „დინამოს“ 10 დეკემბერს.

ეს იყო თბილისის ტურის უკანასკნელი და ამასთან ცენტრალური მატჩი. აქამდე „დინამომ“ ყველა შეხვედრა მოიგო, არმიელები მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ (წლევანდელ გავრცელებულ ტერმინს თუ ვიხმართ — მხოლოდ ერთხელ „არ ითამაშეს“).

ახლა კი ჯერჯერობით განზე გადავდოთ ამ საინტერესო ორთაბრძოლის შთაბეჭდილებებით გამოწვეული სათქმელი და გულშემატკივართან ერთად დღევანდელი კალათბურთის ერთ არც თუ უმნიშვნელო პრობლემას მივუბრუნდეთ.

ცსკა მართლაც ძლიერი კოლექტივია, პირველყოვლისა, თავისი შემადგენლობით. თვით ასეთი გუნდის არსებობის ფაქტში ურიგო არაფერია, მაგრამ საეჭვოა, რომ ქვეყნის თითქმის ყველა საუკეთესო კალათბურთელის ერთ კლუბში თავმოყრის ტენდენციამ (ეს კი ასეა) ან კალათბურთის პოპულარობას შეუწყოს ხელი, ან საერთოდ, საკლუბო გუნდების წინსვლას, რაც თავის მხრივ საბჭოთა კალათბურთის აღმავლობის, ქვეყნის ნაკრების გაძლიერების ყველაზე რეალური საფუძველია.

ამ თემაზე იქნებ არც ღირდა საუბარი, იქნებ შეგნებულადაც დაგვეხუჭა თვალი, „რა ჩვენი საქმეას“ პოზიცია დაგვეჭირა და უფრო ლოკალურ, შინაურ ამბებზე გვეზრუნა, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ხსენებული ტენდენცია პირდაპირ თუ ირიბად თბილისის „დინამოსაც“ ეხება და საკმაოდ მტკივნეულადაც. სერგეი კოვალენკოს თავგადასავალი ყველას კარგად ახსოვს — ამ კალათბურთელმა ჩვენთან დაიწყო, მერე იარა, იარა და ბოლოს ცსკა-ში ამოჰყო თავი.

ამ ზაფხულს სსრ კავშირის ნაკრების საზღვარგარეთული ტურნეს დროს ქვეყნის ნაკრებისა და ცსკა-ს მწვრთნელმა გომელსკიმ არაორაზროვანი წინადადება მისცა ნიკოლოზ დერიუგინს. გამოცდილებით დამძიმებულმა კაცმა სპორტსმენის ახალგაზრდობაზე „ითამაშა“ — რომელ 19 წლის ჭაბუკს არ შეაცდენდა სატყუარი, ცსკა-სა და ნაკრებში ავტომატური თამაშის პერსპექტივა რომ ჰქვია?

მხოლოდ საქართველოს სპორტკომიტეტის აქტიური ჩარევის, თვითონ სპორტსმენის სწორი პოზიციის დაკავების შემდეგ „დაიხურა“ ეს საქმე. თუმცა სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო — დერიუგინი ქართული სპორტის წიაღში აღიზარდა და დავაჟკაცდა, ქართული კალათბურთით არის ნაკვები.

ცსკა-ს ხელმძღვანელობის მიერ არჩეული ეს გზა (საუბარია იმ ტენდენციაზე, რომელიც მარტო თბილისის „დინამოს“ არ ვნებს), ვფიქრობ, „კარგი ცხოვრებით“ არ უნდა იყოს გამოწვეული.

გუნდი, რომლითაც მოსკოვური კალათბურთი იყო წარმოდგენილი II საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებზე, არც ისე პერსპექტიულია და მსაჯთა კეთილგანწყობა რომ არა, მეცხრე ადგილს ნამდვილად ვერ ასცდებოდა (საქართველოს ნაკრები ამ თამაშების ჩემპიონი გახდა). შეიძლება მოსკოვის ნაკრებს აკლდა კიდევ ერთი ან რამდენიმე კარგი კალათბურთელი (პარალელურად მიმდინარეობდა სსრ კავშირის ჩემპიონატი), მაგრამ საეჭვოა, რომ ეს ახალგაზრდული გუნდი მომავალში ორი მოსკოვური კლუბის მასაზრდოებლად იქცეს (მოვლენათა ასეთი თანამიმდევრობა სავსებით ჩვეულებრივი და ბუნებრივია. იგივე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ხომ, ფაქტიურად თბილისის „დინამოს“ ხვალინდელი სახეა). ვფიქრობთ, ამით და მხოლოდ ასერთნაირად შეიძლება აიხსნას მზამზარეულ კალათბურთელთა შეგროვების შესაშური მადა. ისევ უნდა გავიმეორო და ალბათ მართებულიც არის, რომ ერთ გუნდში რჩეულთა ხელოვნურად თავმოყრის ტენდენცია ვერაფერს სამსახურს გაუწევს ამ მშვენიერი თამაშის შემდგომ განვითარებას.

მაგრამ ასეა თუ ისე, მსგავსი კოლექტივი ცსკა-ს სახით მაინც არსებობს და მის დამარცხებაზე ფიქრი ისევე საჭიროა, როგორც სხვა დანარჩენებისაზე.

თბილისელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არასდროს აკლდათ საამისო სურვილი. თუმცა არც მეტოქე გვრჩებოდა ვალში — არმიელები ყოველთვის განსაკუთრებული ალმავლობით თამაშობენ „დინამოს“ წინააღმდეგ. ისე კი, კაცმა რომ თქვას, სპორტში ამაზე უკეთესს ვერც ინატრებ.

მაგრამ დავუბრუნდეთ მატჩს.

ყველაფერი ალბათ მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა. დინამოელთა ექვსქულიანი მარაგი, თვალისჩინივით რომ ესაჭიროებოდა გაფრთხილება, ორიოდ წუთში დაილია. რა თქმა უნდა, მოვლენები სხვაგვარადაც შეიძლებოდა

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

სურათზე: შეტევაზეა მ. ქორქია, თბილისის ტურში მან ბომბარდირის პრიზი მოიპოვა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის თავისუფალ ჭიდაობაში

უძლიერესთა გარემოში

ამ დღეებში თბილისის ქუჩებში გამოკრული აფიშები იუწყებოდნენ, რომ სპორტის სასახლეში ჩატარდებოდა სსრ კავშირის აბსოლუტური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ჩემპიონის სახელს ერთმანეთს შეეცილებოდნენ ქვეყნის უძლიერესი ფალავნები, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონები...

ინტერესი აბსოლუტური პირველობების მიმართ ყოველთვის დიდია. ამას, ეტყობა, ის თავისებურებაც განაპირობებს, რომლითაც იგი ყველა დანარჩენი ტურნირებისგან განსხვავდება — ამ შეჯიბრებაზე ხომ მხოლოდ მძიმე წონის მოჭიდავეები დაიშვებიან (90 კილოგრამზე მეტი), მაგრამ მძიმეცაა და მძიმეც — ხშირად ხალიჩაზე გამოსულ მეტოქეთა წონებს შორის განსხვავება 30-40 კილოგრამია. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ამძაფრებს ჭიდაობის სანახაობრივ მხარეს. და კიდევ — რაკი შეჯიბრება ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენად ეწყობა, ცხადია ტურნირში მონაწილეობა უნდა მიიღოს ყველა იმ გამოჩენილმა ფალავანმა, რომელსაც რაიმე პრეტენზია გააჩნია ასეთი ტიტულის მიმართ. ისე რომ, აბსოლუტური პირველობა ჭიდაობის ნებისმიერ სახეში მართლაც რომ განსაკუთრებულ ინტერესს უნდა იწვევდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ისე როდი ეწყობა საქმე, როგორც გვსურს...

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თბილისის ჩემპიონატი, რომელიც სპორტის სასახლეში 11-12 დეკემბერს მიმდინარეობდა, თავისი შემადგენლობით მაინცადამაინც ვერ ბრწყინავდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ 17 მონაწილიდან მხოლოდ ერთი, თბილისელი ნოდარ მოდებაძე იყო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ამასთან, მონაწილეთა საშუალო ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა.

როდესაც მოსკოველთა გუნდის მწვრთნელს იური არსენიევს ვკითხეთ — უმიზნებენ თუ არა თქვენი ბიჭები აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულსო, მან ასე გვიპასუხა:

— არა, ჩვენ არა გვყავს ჩემპიონობის პრეტენდენტები, ამ ტურნირზე მხოლოდ ახალგაზრდა მოჭიდავეთა გამოცდას ვაპირებთ.

— ჩვენც მხოლოდ ახალგაზრდები ჩამოვიყვანეთ, რადგან ს. ანდიევსა და ი. იარიგინს წელს ცოტა არ იყოს დაძაბული სეზონი ჰქონდათ — გვითხრა რსფსრ-ს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა იგორ ივანოვმა. — გვაკლია ს. ხასიმიკოვიც, რომელიც 12 დეკემბერს პოლონეთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ოჯახური პირობების გამო ვერ ჩამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, მახაჩყალელი მ. მაჰომედოვი....

ორივე მწვრთნელმა, ი. არსენიევმაც და ი. ივანოვმაც ქართველი მოჭიდავე ნოდარ მოდებაძე ერთხმად დაასახელეს აბსოლუტური ჩემპიონობის უდავო პრეტენდენტად.

ასეთივე აზრისა აღმოჩნდა ოლიმპიური, მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი ალექსანდრე მედვედი, რომელიც თბილისის ტურნირზე მსაჯის როლში მოგვევლინა:

— საყურადღებოა, რომ წინა აბსოლუტურ პირველობებში არც ერთი ქართველი ფალავანი არ შესულა უძლიერესთა სამეულში. კრასნოიარსკის, ხარკოვისა და ორჯონიკიძის ტურნირებში აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულები შესაბამისად მოიპოვეს ი. იარიგინმა, ბ. ბიგაევმა და ს. ანდიევმა. შარშან ორჯონიკიძეში გამართულ სსრ კავშირის აბსოლუტურ ჩემპიონატში გამარჯვებულთა პირველი სამეული ასე გამოიყურებოდა: ს. ანდიევი, ბ. ბიგაევი (ორივე — ორჯონიკიძე) და ე. იკაევი, რომელიც უკრაინის სსრ-ს სახელით გამოდიოდა, თუმცა უნდა ითქვას, რომ წარმოშობით ისიც ორჯონიკიძელი გახლავთ. ეს უცნაური „დამთხვევა“ სწორედ რომ აძლიერებს რწმენას „საკუთარი კედლების“ მიმართ და მჯერა, თბილისის ტურნირში გამარჯვებულ სამეულში მხოლოდ ქართველები იქნებიან.

ასეთი პროგნოზები ჭიდაობის ქართველ გულშემატკივარს, რასაკვირველია მალამოდ მოეცხება გულზე, მაგრამ მოდით თვითონ ნოდარ მოდებაძეს მოვუსმინოთ:

— ტურნირის შემადგენლობა ახალგაზრდულია, აქ 17-18-19 წლის ჭაბუკები სჭარბობენ და სწორედ ამიტომაც ბევრი „გაუთვალისწინებელი შემთხვევაა“ მოსალოდნელი. გარდა ამისა თბილისის ჩემპიონატში მონაწილეობენ ისეთი გამოცდილი მოჭიდავეები, როგორიც არიან რიგელი ვალერი ზანკინი (108 კგ), ჩიტელი ალექსანდრე ლეზნიოვი (99), მოსკოველი სერგეი სუხოტეპლი (101) და სხვები. თუმცა აქ შეკრებილი ახალგაზრდობაც საკმაოდ ანგარიშგასაწევი ძალაა.

ახლა ტურნირის პირველი დღის შესახებ.

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •

სურათზე: ნოდარ მოდებაძისა (მარჯვნივ) და ვიქტორ ივანოვის შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

გამარჯვება პირველივე შეხვედრაში

ნიუ იორკი, 12 დეკემბერი. შაბათს, ლას-ვეგასში სსრ კავშირისა და აშშ-ის მძიმეწონოსან მოკრივეთა შეხვედრა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით (6:4) დასრულდა.

ბრძოლა რინგზე ვ. ალექსეევმა და ა. კოფინმა დაიწყეს. სამი რაუნდის დაძაბული ბრძოლის შემდეგ მსაჯებმა უპირატესობა ამერიკელს მიანიჭეს.

მეორე საბჭოთა სპორტსმენმა — ნ. ეროფეევმა — მეტოქე პ. ფლაუერსი პირველივე რაუნდში ნოკაუტში ჩააგდო. ეროფეევმა ბრძოლა მაღალ ტემპში დაიწყო და კარგად გამოიყენა მეტოქის სუსტი მხარეები.

მეორე რაუნდში მეტოქეს ნოკაუტით მოუგო 20 წლის ხ. ინჯიანმა. საბჭოთა ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენი შეხვდა ამერიკელ კ. კოჩრანს, რომელიც მთელი 30 კგ-ით მძიმე იყო მასზე.

ორი ბრძოლა შეწყვეტილი იქნა მეორე რაუნდში საბჭოთა სპორტსმენების აშკარა უპირატესობის გამო. ასე მოიგეს პ. ზაევმა და ნ. საზონიმ. ორთაბრძოლები ქულებით მოიგეს დ. ტიხომოლოვმა და დ. კვაჭაძემ. დასანანი შემთხვევითობა გახდა ლ. ზადოროჟნის დამარცხების მიზეზი. პირველ რაუნდში მან ამერიკელი ს. ფრენკი ნოკდაუნში ჩააგდო და საერთოდ აშკარად ჯობდა მეტოქეს, მაგრამ მეორე რაუნდში მას წარბი გაუსკდა და წაგება ჩაეთვალა.

მსაჯებმა უპირატესობა მიანიჭეს ამერიკელ მოკრივეებს მ. გრინსა და გ. პეიჯს შესაბამისად საბჭოთა სპორტსმენებთან ვ. ტერეშჩენკოსა და ი. ვისოცკისთან შეხვედრაში.

— პირველი შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი ვართ, — საკდესის კორესპონდენტს ტელეფონით უთხრა საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა ა. კისელიოვმა. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უფრო დიდი ანგარიშით მოგვეგო, მაგრამ ეს შედეგი ცუდი არ არის ისეთ ძლიერ მეტოქეებთან, როგორიც არიან აშშ-ის მძიმეწონოსნები. როგორც ყოველთვის, მაყურებლებმა გულთბილად მიგვიღეს და საბჭოთა ოსტატებმაც არ გაამტყუნეს სპორტის მოყვარულთა მოლოდინი.

საბჭოთა ნაკრები კიდევ ერთ მატჩს გამართავს ამერიკელ მძიმეწონოსნებთან. (საკდესი).

კრივი

სრული „კომპლექტი“

გამოვლინდა ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშების ბოლო, მე-16 მონაწილე. ტუნისისა და ეგვიპტის გუნდების შეხვედრაში, რომელიც ტუნისში შედგა, სტუმრებს საბოლოო წარმატებისთვის ფრეც ჰყოფნიდათ, ტუნისელებს კი აუცილებლად უნდა გაემარჯვათ.

ტუნისის ნაკრებმა ძლიერად ითამაშა, მოიგო მატჩი ანგარიშით 4:1 და შეავსო არგენტინის ფინალისტთა სია. იგი საბოლოოდ ასე გამოიყურება: არგენტინა, გფრ, ბრაზილია, პერუ, მექსიკა, უნგრეთი, ესპანეთი, იტალია, შოტლანდია, ჰოლანდია, საფრანგეთი, ავსტრია, პოლონეთი, შვეცია, ირანი, ტუნისი.

ფეხბურთი

სოხუმელთა წარმატება

11 დეკემბერს სოხუმში გაიმართა მეორე გადასასვლელი მატჩი ადგილობრივი „დინამოსა“ და გალის „მშიურის“ ფეხბურთელთა შორის. ვინაიდან ამ გუნდების პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ (2:2), ამ დღის უნდა გამოვლენილიყო გუნდი,რომელიც საგაისოდ მოიპოვებდა „ა“ კლასის II ლიგაში თამაშის უფლებას.

სოხუმელებმა შეხვედრა სწრაფი იერიშით დაიწყეს, დრაჩმა კარგად ისარგებლა ერთ-ერთი მომენტით და ზუსტად გაგზავნა ბურთი გალელთა კარში. დარჩენილ 88 წუთში ორივე კართან მრავალი სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა.

სოხუმის „დინამომ“ გაიმარჯვა ანგარიშით 1:0 და ორი მატჩის ჯამში მო-

ისევ და ისევ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის შესახებ

ფიზიკური კულტურა საბჭოთა კავშირში მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა. ამიტომაც არის, რომ დიდ ყურადღებას უთმობენ მოზარდების ფიზიკურად და გონებრივად განვითარების საკითხს. ჯერ კიდევ 1918 წელს ლენინის მითითებით მიიღეს გადაწყვეტილება, შემოეღოთ სკოლებში ფიზკულტურის გაკვეთილები და ორგანიზებულიყო მშრომელთა ფართო მასებისთვის სპორტული ვარჯიშების შესწავლა. ეს იყო პირველი სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, რომელმაც სათავე დაუდო საბჭოთა სპორტის მასობრივ განვითარებას.

დღეს უკვე აღარავის უკვირს და სავალდებულოცაა ფიზკულტურის გაკვეთილების ჩატარება. წლიდან წლამდე მატულობს სპეციალიზებული სპორტული სკოლების რაოდენობა. ბოლო წლებში დიდი ყურადღება ექცევა სოფლად სპორტული სკოლების გახსნის საქმესაც (ბოლო ორი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის სოფლებში გაიხსნა 100-ზე მეტი სპორტსკოლა). ჩვენს რესპუბლიკაშიც იზრდება სპორტული სკოლების რაოდენობა და მათი მნიშვნელობა. ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა ეს არის სასწავლებელი, სადაც ბავშვები თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას იღებენ, აქ მიმდინარეობს მათი, როგორც მოქალაქეთა და სპორტსმენთა ჩამოყალიბების ძირითადი პროცესი. ამიტომაც, ვფიქრობთ, სპორტული სკოლების მუშაობას განსაკუთრებული მიდგომა და ყოველმხრივი დახმარება სჭირდება. მაგრამ, ხშირად მათ მიმართ უყურადღებობის შემთხვევებსაც ვხვდებით. მაგალითისთვის კალინინის რაიონის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტული სკოლა (დირექტორი გ. თოხაძე) ავიღოთ, სადაც წლების განმავლობაში ვერ მოგვარდა გათბობის საკითხი; ამის გამო პირველ სართულზე მდებარე მცირე დარბაზში, სადაც მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფები ვარჯიშობენ, გათბობა ფაქტიურად არ არის; მეორე სართულზე, დიდ დარბაზში ზომაზე მეტად ცხელა. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ გათბობის მთელი სისტემა უვარგისია და მოითხოვს მთლიანად შეცვლას. წელს ზაფხულში სკოლაში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები (კალინინის რაიონის სარემონტო კანტორა, სამუშაოთა მწარმოებელი ნ. ბედინაშვილი), მაგრამ გათბობის სისტემის შეცვლაზე არავის უფიქრია (ვისაც ევალებოდა), თუმცა, მშენებლებს არც სხვა წვრილმანი სამუშაოებისთვის შეუწუხებიათ თავი. ჩვენ მიზნად არ გვქონია მოგვეთხრო სპორტული სკოლის ცხოვრებაზე, აღსაზრდელების მიღწევებზე, მაგრამ გვინდა აღვნიშნოთ, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიის სიმცირის გამო სკოლას არა აქვს ღია სათამაშო მოედნები (საცურაო აუზზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), იგი წლების განმავლობაში კარგ შევსებას აძლევს რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს (კალათბურთი და ფრენბურთი). სკოლის დარბაზში სისტემატურად ვარჯიშობენ რესპუბლიკის მოსწავლე კალათბურთელთა და ფრენბურთელთა ნაკრები გუნდები. თუნდაც ამიტომ იმსახურებს სკოლა მეტ ყურადღებას და კვალიფიციურ დახმარებას.

რადგან მოზარდთა სპორტზე ვლაპარაკობთ, კიდევ ერთხელ გვინდა დავაყენოთ საკითხი, რომელიც ეხება ფიზკულტურასა და სპორტში ბავშვების ადრეული ასაკიდან ჩაბმას, რასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ საცხოვრებელი სახლების ეზოებში ბავშვებს პრიმიტიული სათამაშო მოედნები მაინც ექნებათ. ამის შესაძლებლობა კი ტერიტორიის სიმცირის გამო თბილისის ბევრი ეზოს ბავშვებს არა აქვთ, თუმცა არის ეზოები, სადაც ტერიტორია დიდია, მაგრამ ბავშვებს სათამაშო ადგილი მაინც არ გააჩნიათ. ამ პარადოქსული შემთხვევის დამადასტურებელია საბურთალოს ქუჩის № 37 სახლის ეზო, რომელსაც საკმაო ფართობი უკავია; როგორც ვნახეთ, ეზოს კარგად უვლიან, ცენტრში შემოღობილია ხეები და სხვადასხვა ნარგავები, დანარჩენი ტერიტორია კი სახელმწიფო თუ კერძო მანქანათა სადგომად გამოუყენებიათ. ეზოს ერთ კუთხეში გარაჟებიც მოუწყვიათ. მხოლოდ ბავშვების სათამაშო ადგილის გამოსაყოფად არ უფიქრია არავის. არადა, შენობაში 73 ბინაა და ადგილობრივ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ სათამაშო მოედანი გართობისა და აქტიური დასვენებისთვის.

საბურთალოს ქუჩის № 37 სახლის ბინადრის დავით მამულაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ ჩავაბათ მომავალი თაობა — ჩვენი ბავშვები სპორტულ ცხოვრებაში, ნუ დაგვავიწყდება, რომ „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია“.

დღეს ყოველ საბჭოთა ადამიანს შეგნებული აქვს ფიზკულტურისა და სპორტის უდიდესი მნიშვნელობა, ახალი მოედნებისა და სპორტული კომპლექსების მშენებლობის აუცილებლობა, კომუნიზმის მშენებელი მომავალი თაობის აღზრდაში სპორტის საკაცობრიო მნიშვნელობა. ჩვენი პარტიის XXV ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „გაიზარდოს სპორტული და ტურისტული ინვენტარის წარმოება... გაფართოვდეს დაწესებულებებსა და საწარმოებში, სასწავლებლებსა და საცხოვრებელ ადგილებზე მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი“.

ზ. თათეიშვილი.

ფიზკულტურაზეც უნდა ზრუნავდნენ

გაიმართა საქართველოს ალკკ ჩოხატაურის რაიონული ორგანიზაციის 29-ე კონფერენცია, რომელმაც მოისმინა და განიხილა რაიკომის პირველი მდივნის რ. მამალაძის მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მ. ყაჭეიშვილმა (შუაგანახლების კოლმეურნეობის მეჩაიეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლის ხელმძღვანელი, საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი), დ. დოლიძემ (განახლების კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი), ზ. ოსეფაიშვილმა (სპორტული სკოლის დირექტორი), ე. გალოგრემ (რაიონის სამხედრო კომისარი), მ. კეკელიძემ (განათლების განყოფილების გამგე), ო. შარაშენიძემ (ჩაისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ვ. დოლიძემ (კოხნარის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი), ვ. მეფარიშვილმა (გორაბერეჟოულის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე) და სხვებმა ვრცლად ილაპარაკეს მოპოვებულ წარმატებებზე, არსებულ ნაკლოვანებებზე. კამათის მონაწილეებმა სხვა საკითხებთან ერთად იმსჯელეს რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ავ-კარგზე.

ითქვა, რომ ჩოხატაურის რაიონში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისთვის, აქ ხომ მეათე ხუთწლედის პირველი ორი წელი სპორტული ბაზების მშენებლობისა და სპორტის მასობრიობის წლებად გამოცხადდა.

განვლილ ორ წელიწადში რაიონის ახალგაზრდობამ საჩუქრად მიიღო სპორტდარბაზი, კეთილმოწყობილი სტადიონი-იპოდრომი, სოფელ ხიდისთავში დასრულდა სტადიონის რეკონსტრუქცია, აიგო ფეხბურთისა და კალათბურთის კაპიტალური მოედნები; ფრენბურთის და ფეხბურთის მოედნები მოეწყო გაზის კანტორაში, რაისამრეწველო კომბინატში. მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა ჩაისუბნის კოლმეურნეობაში, ხიდისთავის საშუალო სკოლაში...

აღინიშნა ისიც, რომ რიგი კომკავშირული ორგანიზაციები არ ზრუნავენ სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და ახლის მშენებლობისთვის. ეს ეხებათ ქვენობნის ჩაის საბჭოთა მეურნეობას, კოხნარის, ბუკისციხის, დაბლაციხის საკოლმეურნეო, ჩაის საწარმოო გაერთიანების, რაიკოოპკავშირის და სხვა პირველად კომკავშირულ ორგანიზაციებს.

ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას ისიც აფერხებს, რომ რაიკავშირის სპორტული მაღაზია ცუდად მარაგდება სპორტული ფორმებითა და ინვენტარით.

რაიონის სპორტსმენები სასახელო შედეგებით გამოდიან რესპუბლიკურ ასპარეზობებში. ლელობურთელთა გუნდი მიმდინარე წელს ოცდამეხუთედ გახდა საქართველოს ჩემპიონი, ფეხბურთელთა გუნდმა „ბახმარომ“ მოიპოვა ანდრო ჟორდანიას სახელობის თასი, რაიონის მოსწავლე-ფეხბურთელებიც გავიდნენ თასის გათამაშების ფინალში. აღინიშნა ისიც, რომ კომკავშირული ორგანიზაციები მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ [illegible] ნიშნოსანთა მომზადებას, კომპლექსის ჩაბარებაში ფართოდ ჩააბან ახალგაზრდობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას.

ადგილებზე ბევრგან გამოიმუშავეს ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ახალი ფორმები და მეთოდები. ყველა სკოლასა და ტექნიკუმშია შემუშავებული სპეციალური გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწყებითი კლასებიდანვე მიმდინარეობს მუშაობა.

რაიონის 8-წლიან და საშუალო სკოლებში ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული ფიზიკური აღზრდის სწავლებაში. გაუმჯობესდა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, ნიშნოსნების, მსაჯებისა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მომზადების საქმე.

დ. გურგენიძე.
(ჩვენი კორ.).

ჩოხატაური.

მეხანძრეები — სარბიელზე

სახანძრო-გამოყენებით სპორტში ჩოხატაურის რაიონის პირველობის პროგრამაში იყო ხელით სამუშაო ტუმბიდან წყლის აღება და 40-მეტრიანი სახელურით გაშვება, ანთებული სითხის ქრობა და მისადგმელი კიბით ერთსართულიანი სახლის სახურავზე ასვლა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს პირველი და მეორე ჩაის ფაბრიკების, „სამტრესტის“ ღვინის ქარხნის, სასურსათო კომბინატის, რაისაავადმყოფოს, რაიკავშირის, საჭამიასერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის, კინოქსელის, შუაგანახლებისა და ერკეთის კოლმეურნეობების მოხალისეთა სახანძრო რაზმეულებმა.

პირველი ადგილი დაიკავა კინოქსელის სახანძრო რაზმეულმა (რაზმეულის უფროსი ჰ. მამალაძე). მეორე ადგილზე გავიდა რაისაავადმყოფოს გუნდი. მესამე ადგილი წილად ხვდათ სასურსათო კომბინატის წარმომადგენლებს.

დ. გურიელი.

პრობლემებს დროულად უნდა გადაჭრა

წყალბურთი

ამას წინათ თბილისში, ვაკის საცურაო აუზში გაიმართა საქართველოს პირველობა წყალბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ბათუმის „დინამოს“, ქუთაისის „განთიადის“, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტისა და განათლების სამინისტროს გუნდები.

ერთკვირიანი ორთაბრძოლების შემდეგ საპრიზო ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი, 3. სახელმწიფო უნივერსიტეტი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ შევხვდით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის მწვრთნელს ი. **ჩხიკვაძეს** და რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას.

— პატივცემულო ირაკლი, გთხოვთ ორიოდე სიტყვით გვიამბოთ თქვენი გუნდის, საქართველოს ახალი ჩემპიონის შესახებ.

— საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი ახალი სასწავლო წლის პირველ დღეებში შეიქმნა და ძირითადად ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული. საქართველოს პირველობაზე თავი გამოიჩინეს კავშირგაბმულობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა ილია ბიჭიაშვილმა (იგი, სხვათა შორის ტურნირის საუკეთესო მეკარე იყო). ნახევარმცველმა გიორგი გველესიანმა (მეტალურგიის ფაკულტეტი, I კურსი), მცველმა იან ხამოევმა (მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, I კურსი), არქიტექტურული ფაკულტეტის მეორეკურსელმა ვახტანგ ჭელიძემ, ინსტიტუტის სპორტკლუბის წევრმა 17 წლის თავდამსხმელმა მიხეილ მაჩაბელმა...

— ტურნირის დაწყების წინ რომელ ადგილს უმიზნებდით?

— მეც და გუნდის ყველა წევრიც, მხოლოდ პირველი ადგილის მოხვეჭისათვის ვიყავით განწყობილი.

— თქვენ უკვე აღნიშნეთ, რომ გუნდი რამდენიმე თვის შექმნილია და აი ეს კოლექტივი პირველივე ასპარეზობაზე ჩემპიონობას უმიზნებს. როგორ ახსნით ამას?

—საქმე ის არის, რომ ტურნირში საკმაოდ სუსტი გუნდები მონაწილეობდნენ. ამ კომპანიაში კი უთუოდ პირველობისათვის უნდა გვებრძოლა.

ერთადერთ სერიოზულ და ძლიერ მეტოქედ სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი მიგვაჩნდა და მასთან ფინალში ვვარაუდობდით შეხვედრას, მაგრამ კენჭისყრამ უნივერსიტეტელებთან პირველივე მატჩში შეგვახვედრა.

ორთაბრძოლა მეტად დაძაბულად წარიმართა. თავიდან ჩვენი მეტოქეები დაწინაურდნენ და სამი გოლის სხვაობით გავიდნენ წინ, მაგრამ მალე ანგარიში გათანაბრდა 5:5. შემდეგ კვლავ უნივერსიტეტელები დაწინაურდნენ — 6:5 და სწორედ ამ სიტუაციაში მომავალმა ინჟინრებმა ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი გამარჯვების გოლიც გაიტანეს — 7:6. ასე დამთავრდა ეს მატჩი.

მომდევნო შეხვედრებში გამარჯვება აღარ გაგვჭირვებია. დავამარცხეთ ბათუმის „დინამო“ და ქუთაისის „განთიადი“ (ერთნაირი ანგარიშით — 9:3), ფიზკულტურის ინსტიტუტი (9:6), და ბოლოს, ანგარიშით 10:5 ვძლიეთ განათლების სამინისტროს გუნდს (იგი ასპარეზობაში უკონკურსოდ მონაწილეობდა).

— „ტურნირში საკმაოდ სუსტი გუნდები მონაწილეობდნენო“, თქვით, თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად გვითხარით, რას გულისხმობდით ამ სიტყვებში?

აი, უკვე VI სპარტაკიადიდან მოყოლებული წყალბურთელთა რამდენი რესპუბლიკური ასპარეზობა გაიმართა და მონაწილეთა კლასი კი არ იზრდება, პირიქით ქვეითდება.

ავიღოთ მაგალითად, ქუთაისისა და ბათუმის მაგალითი. ამ ქალაქებში წყალბურთელებს ვარჯიშის საკმაოდ კარგი პირობები აქვთ, მაგრამ პროგრესი მაინც არ იგრძნობა. ორივე ქალაქმა თბილისში ძალზე სუსტი გუნდი გამოგზავნა, ისინი ჩამორჩებიან სწრაფად ცურვაში, გამძლეობაში...

მინდა განსაკუთრებით საყვედური გამოვთქვა სპორტსაზოგადოება „განთიადის“ მიმართ, რომელსაც თბილისში რამდენიმე საცურაო აუზი აქვს, მაგრამ წყალბურთელთა გუნდი კი არ გააჩნია.

სპორტის ამ სახეობაში ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად მიმაჩნია ბავშვებთან სუსტი მუშაობა. მაგალითად, დედაქალაქში წყალბურთის მოყვარული ბავშვების ვარჯიშისთვის მხოლოდ რამდენიმე ჯგუფი არსებობს. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუზი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ ჩადგა მწყობრში, ბავშვებისთვის მიუწვდომელია. არადა, ბავშვთა ერთი ჯგუფიც რომ გაიხსნას, დიდი საქმე გაკეთდებოდა.

ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, წყალბურთელებს თავზე საყრელი პრობლემები აქვთ გადასაჭრელი.

— და ბოლოს, თქვენი გუნდის გეგმების შესახებ.

— მართალია, საქართველოს პირველობაზე გავიმარჯვეთ, მაგრამ ეს დამშვიდების უფლებას არ გვაძლევს. მცირე ხნის შესვენების შემდეგ კვლავ განვაგრძობთ ინტენსიურ ვარჯიშს. თებერვალში კაუნასში სტუდენტური ზამთრის არდადეგების პრიზის გათამაშებაში მივიღებთ მონაწილეობას, შემდეგ კი თბილისის, ცენტრალური საბჭოს პირველობებია...

ო. კუხიანი.

კოოპერატორთა რესპუბლიკური

ქუთაისი ორ დღეს მასპინძლობდა სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ფინალური ასპარეზობის მონაწილეებს ტყვიის სროლაში, ცეცხლის ხაზზე ექვსი გუნდი გამოვიდა.

ჩემპიონობა მოიპოვა სოხუმელთა ძლიერმა კოლექტივმა. მეორე ადგილი დაიკავეს სიღნაღელმა სპორტსმენებმა, მასპინძლები კი მესამე ადგილს დასჯერდნენ.

თ. კახელიშვილი.



ნიჩბოსნები მტკვარზე.

ა. ხააკოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი, ცსკა და სხვანი

დასასრული

განვითარებულიყო, მაგრამ ასეთი რადიკალური შემობრუნების (არმიელთა სასარგებლოდ) ნიშნები პირველ ნახევარშიც იგრძნობოდა, საკმაოდ ხელშესახებადაც. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს საგანგაშო ნიშნები „დინამოს“ მწვრთნელებს უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ, მაგრამ...

საუბარია უკანა ხაზის მოთამაშეთა ორთაბრძოლაზე, რომელშიც გამარჯვება უდავოდ ცსკა-ს დარჩა. არმიელთა წყვილი ერიომინი-მილოსერდოვი (ძირითადად მათ მხრებზე გადავიდა მატჩის მთელი სიმძიმე) და თბილისელთა ოთხეული (ჩიხლაძე, გრძელიძე, ჩხიკვაძე და ქეიშვილი) მონაცვლეობით ეთამაშებოდნენ მეტოქის მცველებს. „დინამოს“ შეტევის დროს ეს ორთაბრძოლა დაახლოებით თანაბარია, მაშინ კი, როცა როლები იცვლება, მოსკოველთა დუეტი ბევრად უკეთ გამოიყურება. რა თქმა უნდა, აქ შეიძლებოდა ამ საინტერესო პაექრობის მონაწილეთა ციფრებში ასახული წვლილის მოშველიება, მაგრამ უამისობაც ბევრს არაფერს შეცვლის.

მოვყვეთ თავიდან.

ორივე არმიელი მცველი კარგად ტყორცნის საშუალო და შორი დისტანციიდან, ორივეს შეუძლია საინტერესო კომბინაციის დაწყება თუ გაგრძელება, ორივე საკმაოდ იოლად თავისუფლდება მეურვისაგან (განსაკუთრებით ერიომინი), და ბოლოს, მცველის მოვალეობის შესრულებისას ერთიც და მეორეც საკმაოდ საიმედოა. თბილისელთაგან ყველა ეს თვისება სრულყოფილი სახით მხოლოდ ჩიხლაძეს აქვს. სამწუხაროდ, თამაში ჯერჯერობით არ არის მისთვის ჩვეულ ფორმაში. ისიც ანგარიშგასაწევია, რომ გრძელიძისთვისაც და ქეიშვილისთვისაც ასეთი სერიოზული მატჩები ფაქტიურად დებიუტია.

ს უ რ ა თ ზ ე: თამაშობს მ. სილანტიევი (ლენინგრადის „სპარტაკი“).

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ერთი დეტალიც:

ბრძოლის ამ უბანზე ქართველ კალათბურთელებს ყოველთვის ჰქონდათ ერთი ტრადიციული უპირატესობა — ფლანგური გარღვევები. დღეს ეს იარაღი სათანადო შემსრულებლის არყოლის გამო მოჩლუნგებულია. (ვიმედოვნებთ, რომ დროებით). ამ მატჩშიც, თუ არ ჩავთვლით ზურაბ გრძელიძის ერთადერთ ასეთ შეტევას, მსგავსი რამ არ გვინახავს.

სპორტსმენისა თუ გუნდის რაიმე ნაკლი პირველყოვლისა ძლიერ მეტოქესთან დაპირისპირებისას გამოჩნდება ხოლმე (სხვა შემთხვევაში ხინჯი ან საერთოდ ქრება, ან უბრალოდ, არ იგრძნობა). უკვე ვთქვით და მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ თბილისელებს სწორედ ასეთი მეტოქე ჰყავდათ. ამდენად, ის, რაზეც აქამდე გვქონდა საუბარი, მაინც კერძო ხასიათისაა, და ამ კონკრეტული მატჩის საზღვრებსაც გუნდისადმი მეტისმეტი მომთხოვნელობის პირობებში თუ გასცდება. სულ უფრო უკეთესისა და სულ უფრო მეტის სურვილიც სხვა არაფერია, თუ არა კოლექტივის პოტენციისა და უკეთესი მომავლის რწმენა. ამის თქმის უფლებას წინა ჩემპიონატში მოპოვებული ბრინჯაოს მედალი და სპეციალისტთა ის აზრი იძლევა, რომ თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი აღმავლობის გზას ადგას.

ამ მატჩში უთუოდ საინტერესო იყო დერიუგინ — ს. კოვალენკოს დუელიც. პირველივე წუთებში მოწინააღმდეგეებმა თითო ჩხვლეტა მიაყენეს ერთმანეთს — ორ-ორი ქულა და თითო პერსონალური. ორთაბრძოლა მერეც დაახლოებით თანაბარი იყო, მაგრამ საბოლოო შედეგით თუ ვიმსჯელებთ, ახალგაზრდა სპორტსმენმა გამოცდილ მეტოქეს მაინც აჯობა — კოვალენკოს დაგროვებული ქულებიც ნაკლები აღმოაჩნდა და 5 პერსონალური შენიშვნის გამოც ბევრად ადრე დასტოვა მოედანი.

ცსკა-მ ეს შეხვედრა წინა მატჩისგან განსხვავებით სტაბილური შემადგენლობით ითამაშა. მხოლოდ მე-15 წუთზე მოხდა პირველი ცვლილება (ლენინგრადელებთან შეხვედრაში ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს არმიელთა მწვრთნელი თვითონ იყო დაინტერესებული გუნდის თამაში რაც შეიძლება ქაოტური გაეხადა). შეხვედრის 30-ე წუთისთვის არმიელები 10 ქულით დაწინაურდნენ. მართალია, ამ დროს მოედანზე უკვე აღარ არის ს. კოვალენკო, მაგრამ რა? ვაის გავეყარე და უის შევეყარეო — მიშკინი არაფრით ნაკლები არ არის თავის თანაგუნდელზე. თბილისის „დინამო“ უკანასკნელ ძალებს იკრებს და გადამწყვეტ შტურმზე გადადის. 73:81, 76:83, 80:85, 82:85, 83:85! გუნდის ასეთი თავგანწირვა უთუოდ პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ სასწაული არ მოხდა — ქართველი კალათბურთელები დამარცხდნენ.

მაშ ასე, თბილისის ტური დასრულდა. სამმა კოლექტივმა — თბილისის „დინამომ“, ლენინგრადის „სპარტაკმა“ და ცსკა-მ 4-4 ქულა დააგროვა. ბურთების შეფარდებით ტურის გამარჯვებულნი ჩვენი კალათბურთელები არიან. პარალელურად მიმდინარე ტალინის ტურში ასევე ოთხი ქულა მოიპოვა რიგის ვეფ-მა. ეს ოთხი გუნდი სათავეში მოექცა გათამაშების ცხრილს. 19 დეკემბერს კაუნასში ყველა 12 კოლექტივი შეიკრიბება, სწორედ აქ გაირკვევა იმ რვა უძლიერესის ვინაობაც, შემდეგ ეტაპზე (ორ წრედ, შინ და სტუმრად) რომ განაგრძობს ბრძოლას.

ი. ბერიაშვილი.

სხვა მატჩები

„სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ვლადივოსტოკი) 95:85 (45:40).

ლენინგრადი: პავლოვი, ტარაკანოვი, კუზნეცოვი, სილანტიევი, კაპუსტინი, ობრუბოვი, ბრატანჩუკი, ა. ბელოვი, კარავაევი.

ვლადივოსტოკი: არხიპოვი, კურიატნიკოვი, კრასავცევი, მაკაროვი, განსონი, შიშკოვი, ბახირევი, სოლოგუბი, პოლოვიანოვი, მედვედევი, პროკუდინი.

მსაჯები: რ. გოგელია (თბილისი), ი. სილინში (რიგა).

* * *

რტი (მინსკი) — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 87:86 (51:38).

რტი: იაკუშენკო, უედი, აკიმოვი, გუზიკი, პოპკოვი, ზუბოვიჩი, კრახნიცკი, შერევერია, კრავჩენკო, პუსტოგვორი, ბელანი, პარფიანოვიჩი.

სტატიბა: ანდრიუნასი, ნარმონტასი, ბაზილევსკი, პავილონისი, ბალოჩკა, კაზლაუსკასი, ვაიტკუსი, გირსკისი, ბალტუშკა, კაირისი, კარნილიოვასი.

მსაჯები: მ. ქურიძე (თბილისი), ვ. ვაინკოპი (მოსკოვი).

გათამაშების საერთო ცხრილი

მდგომარეობა კაუნასის ტურის წინ

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბ.)	5	4	1	472—408	9
„სპარტ“. (ლენ).	5	4	1	442—399	9
ცსკა	5	4	1	443—418	9
ვეფ-ი	5	4	1	466—449	9
„კალევი“	5	3	2	419—407	8
„სტროიტელი“	5	3	2	393—390	8
„დინამო“ (მ.)	5	2	3	453—435	7
ასკ	5	2	3	430—447	7
რტი	5	2	3	410—440	7
„სტატიბა“	5	1	4	426—440	6
„ჟალგირისი“	5	1	4	410—443	6
„სპარ“. (ვლად.)	5	0	5	393—481	0

შენიშვნა: საკავშირო ჩემპიონატის დებულებით გამარჯვებისთვის გუნდს ეწერება 2 ქულა, დამარცხებისთვის — 1 ქულა, გამოუცხადებლობისთვის — 0 ქულა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

●

ს უ რ ა თ ზ ე: ამ მატჩში ნ. დერიუგინმა (ბურთით) 28 ქულა შესძინა კოლექტივს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

პრიზები

თბილისის ტურში დაწესებული იყო რიგი პრიზები. ტურნირის დასრულებისას საგანგებო კომისიამ ეს ჯილდოები გადასცა:

ბომბარდირისა — მ. ქორქიას (118 ქ.).
საუკეთესო მცველისა — გ. კაპუსტინს („სპარტაკი“ ლენ.).
საუკეთესო ცენტრალური მოთამაშისა — ნ. დერიუგინს.
ყველაზე თავდაჭერილი მწვრთნელისა — ლ. მოსეშვილს.
საუკეთესო დებიუტანტისა — ზ. გრძელიძეს და რ. გარუჩავას.
ელეგანტური გუნდისა — ვილნიუსის „სტატიბას“.
საუკეთესო მსაჯისა — ა. მუხამეძიანოვს (ყაზანი).

ჭიდაობა

შძლიერესთა გარემშე

დასასრული

შეჯიბრების 17 მონაწილე სამ ქვეჯგუფად დაიყო და მათ შორის შეჯიბრება წრიული სისტემით გაიმართა. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული ფალავნები ფინალში მონაწილეობის უფლებას ღებულობდნენ.

პირველ ქვეჯგუფში ორი ქართველი ფალავანი მალხაზ მერმანიშვილი (მწვრთნელი ნ. გაჩეჩილაძე) და ამირან ქვილითაია (მწვრთნელი მ. თიკანაძე) გამოდიოდნენ. მალხაზმა 40 წამში მოუგო კრასნოდარელ ალექსანდრე ტრიპუტინს, ქულებით სძლია ამირან ქვილითაიას, 1 წუთსა და 36 წამში დაამარცხა მოსკოველი სერგეი სუხოტეპლი, ხოლო ნალჩიკელი ვლადიმერ საბანჩევი სარეკორდო დროში — 14 წამში ბეჭებით გააკრა ხალიჩაზე.

კარგად იასპარეზა ამირან ქვილითაიამაც. შეჯიბრების პირველ დღეს მან მხოლოდ ერთი დამარცხება იწვნია. ყველა დანარჩენი კი სუფთად მოიგო.

ნოდარ მოდებაძეს (მწვრთნელი გ. როსტიაშვილი) მეორე ქვეჯგუფში მოუხდა გამოსვლა. აქ მან 1 წუთსა და 52 წამში სძლია ალექსანდრე ლეზნიოვს, 1 წუთსა და 43 წამში ორჯონიკიძელ შალვა ავსაჯანაშვილს, ასევე 1 წუთსა და 43 წამში ვიქტორ ივანოვს, ხოლო ვალერი ზანკინი 3 წუთსა და 27 წამში გააკრა ხალიჩაზე. ისე, რომ ნოდარმა პირველი დღის შეხვედრები ნოლი საჯარიმო ქულით დაამთავრა. ამ ქვეჯგუფიდან ნ. მოდებაძის გარდა ფინალში მოხვედრის კარგი შესაძლებლობები აქვთ ვალერი ზანკინსა და ალექსანდრე ლეზნიოვს.

მესამე ქვეჯგუფში კიდევ ერთი ქართველი ფალავანი გამოდიოდა, ეს იყო ჯემალ ტარიელაძე (130 კგ). იგი 1 წუთსა და 11 წამში დამარცხდა ძალზე პერსპექტიულ მოჭიდავე აშხად კისიევთან (ორჯონიკიძე), 4 წუთსა და 1 წამში მოუგო ორჯონიკიძელ გიორგი კალოევს, 2 წუთსა და 28 წამში — მაჰომედ ტანგიევს, ხოლო რაშიდ ალტანბაევს მასთან შეხვედრაში სამი გაფრთხილების გამო, რომელიც პასიური ჭიდაობისთვის მიიღო, დამარცხება ჩაეთვალა. ამ ქვეჯგუფში ფინალში გასვლის კარგი შესაძლებლობები აქვთ — აშხად კისიევს, რომელმაც ყველა შეხვედრა სუფთად მოიგო, რაშიდ ალტინბაევსა და ჯემალ ტარიელაძეს.

გუშინ საღამოს გაიმართა ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები.

ნ. შატაიძე.

ჭადრაკი

მეშვიდე პარტიის ფინიში

გასულ შაბათს ბელგრადში შედგა ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის ფინალური მატჩის VII პარტიის დამთავრება. შეწყვეტილ პოზიციაში კორჩნოის ზედმეტი პაიკი ჰქონდა. თამაშის განახლებისას კორჩნოიმ შეძლო უპირატესობის რეალიზება და 48-ე სვლაზე გაიმარჯვა.

ლიდერობს კორჩნოი ანგარიშით 5:2.

ლიდერთა შორის სიმჭიდროვეა

ლვოვი, 12 დეკემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა 37-ე ჩემპიონატის ფინალში გუშინ გაიმართა VII ტურის შეხვედრები.

ნ. ალექსანდრია — მ. მაკარიჩევას (მოსკოვი) პარტია ლაზიერის გამბიტით დაიწყო. ქართველმა დიდოსტატმა პოზიციურ ბრძოლაში აჯობა მეტოქეს და გაიმარჯვა.

ლ. ზაიცევამ (მოსკოვი) მ. ჩიბურდანიძის წინააღმდეგ ფრანგული დაცვა აირჩია. ჩიბურდანიძემ საიერიშოდ განალაგა ფიგურები და შავ გვირგვინოსანს შეუტია. ბოლოს იერიში შამათით დააგვირგვინა.

ნ. იოსელიანი შეხვდა ლ. სემიონოვას (კიევი). პარტიაში სიცილიური დაცვა გათამაშდა. სემიონოვა უფრო მარჯვე აღმოჩნდა და გაიმარჯვა.

ნ. ალიოხინას (ვორონეჟი), ა. კისლოვამ (ლენინგრადის ოლქი) — ო. კოლოიარცევას (პენზა), ტ. ზატულოვსკაიამ (მოსკოვი) — ტ. ფომინას (ტალინი) და ტ. მოროზოვამ (ოდესა) — ლ. პიარნპუუს (ტალინი). ყაიმზე შეთანხმდნენ ი. ლევიტინა (ლენინგრადი) — ე. ეპშტეინი (გორკი).

დაუმთავრებელი დარჩა ე. ახმილოვსკაია (კრასნოიარსკი) — მ. ლიტინსკაიას (ლვოვი) პარტია.

II ტურიდან გადადებულ პარტიაში ალექსანდრია და ზაიცევა ყაიმზე შეთანხმდნენ.

7 ტურის შემდეგ ლიდერობენ მ. ჩიბურდანიძე, ა. ახშარუმოვა, ტ. მოროზოვა — 4,5-4,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ალექსანდრია — 4 (2), ლ. სემიონოვა — 4 (1), ე. ეპშტეინი — 4, მ. ლიტინსკაია — 3,5 (2).

გულკომ შეცვალა პეტროსიანი

ლენინგრადი. სსრ კავშირის ვაჟთა 45-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი.

გადადებული პარტიების დამთავრება: ტ. პეტროსიანი — გ. კუზმინი 0:1, ბ. გულკო — ი. ბალაშოვი 1:0, რომანიშინი — გულკო 0:1, ლ. პოლუგაევსკი — რომანიშინი 1:0, კ. გრიგორიანი — ვ. ტუკმაკოვი — 0,5:0,5, ვ. ბაგიროვი — ე. სვეშნიკოვი 0,5:0,5.

IX ტური: პეტროსიანი — ბაგიროვი 0,5:0,5, ე. გელერი — ი. დოსვეშნიკოვი 0,5:0,5, გულკო — სმისლოვი 1:0, ტუკმაკოვი — კუზმინი 1:0. გადაიდო ლ. ალბურტი — ა. კოჩიევის და რომანიშინ — ბალაშოვის პარტიები.

მ. ტალის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა გრიგორიანთან.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბ. გულკო — 6,5 ქულა, ტ. პეტროსიანი — 6, გ. კუზმინი, ლ. პოლუგაევსკი — 5-5.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონ პეტროსიანს ერთპიროვნული ლიდერობა გულკომ ჩამოართვა. პეტროსიანმა კუზმინთან გადადებულ პარტიაში ვერ მოიგერია იერიში და ამ ტურნირში პირველად დამარცხდა. IX ტურში იგი უკვე 22-ე სვლაზე დაუზავდა ბალაშოვს. შემჩნეულია, რომ წაგების შემდეგ პეტროსიანი ყოველთვის ყაიმს სჯერდება.

გულკომ ზუსტი თამაშით გადადებულ პარტიებში 2 ქულა შეიძინა. IX ტურში მან უკეთესი პოზიცია მიიღო სმისლოვთან და ალბათ თანდათან უპირატესობის რეალიზებასაც შეძლებდა. სმისლოვმა ყრუ დაცვას გაბედული კონტრთამაში არჩია. მაგრამ რისკიანი თამაში გულკოსთვის უფრო სასარგებლო აღმოჩნდა. გულკო იერიშზე გადავიდა და 34-ე სვლაზე გაიმარჯვა.

პირველი გამარჯვება იზეიმა ტუკმაკოვმა, რომელმაც კუზმინს მოუგო. კუზმინისთვის ეს იყო პირველი წაგება ამ შეჯიბრებაში.

გადადებულ პარტიებში კოჩიევს უპირატესობა აქვს ალბურტთან, რომანი-

„არიამეხრის" თასზე

თეირანი, 12 დეკემბერი. „არიამეხრის" თასზე აქ გამართულ შეჯიბრებაში საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ექვსი I ადგილი დაიკავეს. აი, ამ პოპულარულ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულები (წონითი კატეგორიების მიხედვით): მოსკოველი ს. კორნილაევი, ირანელი მ. კაშეფი, ევროპის ჩემპიონი, კრასნოიარსკელი ვ. ალექსეევი, ორჯონიკიძელი დ. ხატაგოვი, მ. ხორამი და ოლიმპიადისა და მსოფლიო ჩემპიონების ვერცხლის პრიზიორი მ. ბარზეგიარი (ორივე — ირანი), ხ. ზანგიევი (უზბეკეთის ქალაქი ნამანგანი), უ. ნოპერტი (გდრ), ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, თბილისელი ლ. თედიაშვილი და კიეველი ბ. ბიგაევი.

საბჭოთა ათლეტებმა სამი მეორე ადგილიც მოიპოვეს. მათ რიცხვში სამი დებიუტანტი გამოდიოდა (ორ წონით კატეგორიაში საბჭოთა ნაკრებს სპორტსმენი არ გამოუყვანია).

ამ შეჯიბრებაში, რომელიც მეთერთმეტედ ჩატარდა მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ავღანეთის, პაკისტანის, პოლონეთისა და აშშ-ის (პირველად) გუნდები.

ტურნირმა ირანის დედაქალაქის სპორტის მოყვარულებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

საქდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ი. შახმურადოვმა აღნიშნა, რომ ასეთი შეჯიბრებები არა მარტო სეზონის შედეგების შეჯამებაა, არამედ ახალგაზრდა სპორტსმენებს შესაძლებლობა ეძლევათ გამოსცადონ თავიანთი ძალები სერიოზულ შეჯიბრებებში (საქდესი).

ოლიმპიელები გორკის ქუჩიდან

დილის თერთმეტი საათია. გორკის ქუჩა, 7. ცენტრალურ ტელეგრაფში დაძაბული მუშაობაა. კავშირი სიჩქარესა და ოპერატიულობას მოითხოვს. ზარები, ზარები... აქედან იჭიმება საბჭოთა კავშირის ყველა კუთხესთან, მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან დამაკავშირებელი „ძაფები".

... და უცებ: „ვიწყებთ საწარმოო ტანვარჯიშს", — ყველა საამქროში ერთდროულად ალაპარაკდა რეპროდუქტორი. ყველა ტოვებს სამუშაო ადგილს და იწყება „ფიზპაუზა". იგი მხოლოდ 6-8 წუთს გრძელდება, მაგრამ ეფექტი კი დიდია. დაღლილობა სადღაც გაქრა, ყველა ისე ხალისიანად უბრუნდება თავის ადგილს, თითქოს აქამდე რამდენიმე საათი დაძაბულად არც ემუშაოს.

აქ დიდი ყურადღება ეთმობა საწარმოო ტანვარჯიშს. ტელეგრაფისტთა ჯაფა ძალზე რთულია. დაწესებულების ხელმძღვანელები დაფიქრდნენ: „რა გზით შეიძლება შრომის ეფექტურობის ამაღლება?" და მათ მიაგნეს დაღლილობის მომხსნელ „სამკურნალო საშუალებას" — საწარმოო ვარჯიშს, რომელიც ახლა მთელი კოლექტივის პრესტიჟის საქმედ იქცა. აქ შეიქმნა საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდური საბჭო, რომელიც ამუშავებს და ადგენს ვარჯიშების კომპლექსებს (რომელთაც ორ თვეში ერთხელ „ანახლებენ"), თვალყურს ადევნებს ვარჯიშის პირობებს ადგილებზე და... ატარებს შეჯიბრებებს. ნუ გაიკვირვებთ, ეს არის შეჯიბრებები, რომელსაც ჰყავს თავისი მსაჯები და მაყურებლები. ყველა გუნდს აძლევენ აუცილებელ პროგრამას, რომელსაც არბიტრები აფასებენ. ყოველ წელს ტელეგრაფში ტარდება პირველობა, სადაც ყველა, 18 საამქროს გუნდი ასპარეზობს. შემდეგ ირჩევა ნაკრები, რომელიც სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" დარგობრივი საბჭოს პირველობაში მონაწილეობს. იგი მუდამ საპრიზო ადგილებზე გადის. ბევრს, ვინც მოსკოველ ტელეგრაფისტთა გამოცდილების შესახებ წაიკითხავს, შეიძლება გაეცინოს: „დიდი ამბავი, საწარმოო ტანვარჯიში", მაგრამ საქმეც ისაა რომ აქ თვითონ ამუშავებენ ტელეგრაფისტთა შრომისთვის შესაფერ ვარჯიშების კომპლექსებს.

— ასეთი „ფიზპაუზები" ყველასთვის სასარგებლოა: წარმოებისთვისაც და მუშაკებისთვისაც, — ამბობს ცენტრალური ტელეგრაფის ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარე ბ. ალეევი.

საწარმოო ტანვარჯიშს არ შეიძლება სპორტის სახეობა ვუწოდოთ, მაგრამ იგი ამაღლებს შრომისნაყოფიერებას, კეთილ გავლენას ახდენს ადამიანთა ჯანმრთელობაზე. და განა ეს არ არის ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი დანიშნულება?

კოლექტივში არც სპორტის ოფიციალურად რეგისტრირებული სახეობებია დავიწყებული. ყოველწლიურად დაწესებულებაში ტარდება საზაფხულო სპარტაკიადა სპორტის 15 სახეობაში და ზამთრისა — 10 სახეობაში. ამ ღონისძიებების მთავარი მიზანი მშდ-ის ნორმატივების ჩაბარებაა. შეჯიბრებების საორგანიზაციო საკითხებს წყვეტს სპარტაკიადების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტი. მართლაც სოლიდურია მოსკოვის ცენტრალური ტელეგრაფის ფიზკულტურული კოლექტივის სახელი — „ოლიმპიური". ამ დაწესებულებას ხომ პირდაპირი კავშირი აქვს საზაფხულო ოლიმპიადა-80-თან. გორკისქუჩელი ოლიმპიელები უზრუნველყოფენ „ოლიმპიადის ნერვების" მუშაობას — XXII თამაშების დედაქალაქის კავშირს ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტსა და ქალაქთან.

ა. ვალენტეი.

(საქდესის კორ.).

ფოტოაპარატით განვლილ შეჯიბრებებში

ფრუნზეში ჩატარდა საკავშირო პირველობა სასტენდო სროლაში. მრგვალ სტენდზე ქალთა ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი პოლინა კონეევა.

საქდესის ფოტო.



რიგაში ჩატარებულ ევროპული ლიგის პირველობის მატჩში სსრ კავშირის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 5:2 დაამარცხა ინგლისის გუნდი.

სურათზე: თამაშობენ საბჭოთა სპორტსმენები ს. სარხოიანი (მარცხნივ) და ა. სტროკატოვი.

საქდესის ფოტო.

მედიცინის მუშაკთა საზრუნავი

ოლიმპიადის სამედიცინო უზრუნველყოფის გეგმაში განსაკუთრებით საპასუხისმგებლო და რთულია სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია შეჯიბრებების და ვარჯიშების ადგილზე. არ შეიძლება დავივიწყოთ მაყურებელიც.

მკითხველს ვთავაზობთ მოსკოვის სამედიცინო-ფიზკულტურულ დისპანსერის მთავარი ექიმის ვ. ნიჩაევის ინტერვიუს.

— უპირველეს ყოვლისა, დაგვისახელეთ შეჯიბრების ყველაზე მნიშვნელოვანი ზონები.

— შეჯიბრებები და ვარჯიშები ჩატარდება მოსკოვის ზოგიერთ რაიონებსა და მოსკოვის ოლქში, ტალინში, კიევში, მინსკში, ლენინგრადში. ნაგებობათა კომპლექსებია ლუჟნიკებში, კრილატსკში, მშვიდობის პროსპექტზე. არ ვივიწყებთ „დინამოსა" და ცსკა-ს კომპლექსებს. ლუჟნიკებში ჩატარდება შეჯიბრებები სპორტის რვა სახეობაში, გახსნის ზეიმი და ოლიმპიადის დახურვა. შეჯიბრებების და ვარჯიშების ადგილებზე დაკავებული იქნება ოლიმპიადის სამედიცინო უზრუნველყოფის თანამშრომლების 50 პროცენტი, მოეწყობა სანიტარული ტრანსპორტის და სხვა აუცილებელ საშუალებათა დიდი პარკი.

— როგორ იქნება განლაგებული სამედიცინო ძალები ამ ზონებში?

— სტადიონებზე, სხვა ნაგებობებთან მოეწყობა ღია სამედიცინო პუნქტები, აქ მივამაგრებთ სასწრაფო დახმარების მანქანებს მორიგე ბრიგადებით. გარდა ამისა, მედიკების განკარგულებაში იქნება სანიტარული ვერტმფრენები და ძრავიანი ნავები. გაიხსნება სააფთიაქო ფარდულები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ზეიმების სამედიცინო უზრუნველყოფას, მარათონული რბენის, სპორტული სიარულისა და სხვა ტრასებს. რა თქმა უნდა, ფართეა ვალდებულებათა წრე და შესაძლებელია, რომ სამკურნალო ფიზკულტურის ექიმების შტატმა თავი ვერ გაართვას ყველაფერს. ამიტომ საქმეში ჩავაბამთ ქალაქის სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაკებსაც. ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც ამჟამად დგას ჩვენს წინაშე, კადრების სათანადო მომზადებაა, ექიმებმა უნდა აითვისონ სპორტული მედიცინის სპეციფიკა, კარგად გაეცნონ შეჯიბრების წესებს, შეძლებისდაგვარად დაეუფლონ უცხო ენებს. ოლიმპიადის სამედიცინო პერსონალის დასახმარებლად სავარაუდოა, გამოიცეს მცირე სამედიცინო „სასაუბრო" ოთხ ენაზე.

„მედიცინსკაია გაზეტა".

მელბურნი თუ სიდნეი?

კანბერა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლორდ კილანინმა განაცხადა, რომ სიდნეი იბრძოლებს, რათა გახდეს 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი, თუ ამისთვის შეაგროვებს საკმარის თანხას.

ოლიმპიადა-88-ის ორგანიზაციისთვის მეტოქეობა უკვე დაიწყო ორ დიდ ავსტრალიურ ქალაქებს — სიდნეისა და მელბურნს შორის.

ახალგაზრდობის, სპორტისა და დასვენების დარგში ვიქტორიას შტატის მინისტრმა ბ. დიქსონმა კილანინს განუცხადა, რომ „თუ სიდნეი არ დააჩქარებს განაცხადის გაფორმებას, ამას გააკეთებს მელბურნი". სოკ-ის პრეზიდენტის აზრით, სიდნეის ავსტრალიის ოლიმპიური კომიტეტისაგან დიდი მხარდაჭერა ექნება და განაცხადი ოლიმპიადა-88-ის ორგანიზაციის თაობაზე უნდა გაფორმდეს 1981 წელს.

სიდნეის მერი ლეო პორტი, რომელიც ხელმძღვანელობს ოლიმპიური „წარმოების" ფინანსურ მხარეებს, დიდი ენთუზიაზმით ეკიდება თავის ქალაქში ოლიმპიადის ჩატარებას. (საქდესი).

დიდი ინტერესი

სტოკჰოლმი, 6 დეკემბერი. შვეციაში დიდ ინტერესს იჩენენ 1980 წლის ოლიმპიური თამაშების მიმართ. შვედურმა გაზეთმა „არბეტეტმა" და ტურისტულმა ფირმამ „რესომ" შექმნეს სპეციალური „ოლიმპიური კლუბი", რომელიც ახლავე იწვევს მსურველებს ჩაეწერონ 1980 წელს სსრ კავშირში კოლექტიური ტურისტული მოგზაურობისთვის.

კლუბში შემსვლელები იძენენ ოლიმპიადის ტურისტულ საგზურს განვადებით — ისინი კლუბის მიერ გახსნილ ანგარიშზე ყოველთვიურად გადარიცხავენ განსაზღვრულ საწევრო გადასახადს. „ოლიმპიურ კლუბს" თავისი წევრებისთვის შემუშავებული აქვს მრავალფეროვანი მოსამზადებელი პროგრამა — რუსული ენის შემსწავლელი კურსები, საბჭოთა ქვეყნის კულტურის გაცნობა, საბჭოთა კინოფილმების ჩვენება. (საქდესი).

კვლავ ავსტრალიური თამაშები

კანბერა. (საქდესი). მეორე ავსტრალიური თამაშების ორგანიზატორებმა მოსაწვევი გაუგზავნეს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ სპორტსმენებს. პირველი ასეთი შეჯიბრება 1977 წლის იანვარში მოეწყო და წარმატებითაც. თამაშების მონაწილეები სპორტის სხვადასხვა სახეობაში ასპარეზობდნენ.

გაისად იანვრის თამაშებში მონაწილეობას მიიღებს ხუთი ოლიმპიური ჩემპიონი: მძლეოსნები — ოლიმპიადა 76-ის ჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში ირენა შევინსკა; მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 200 მეტრზე რბენაში იამაიკელი დონ ქვორი; ოლიმპიადა-76-ში 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ანეგრეტ რიხტერი (გფრ); ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში პოლონელი ტადეუშ სლიუსარსკი; მონრეალის „ოქროს" პრიზიორი 1500 მეტრზე რბენაში ჯონ უოკერი.

მომავალი თამაშები 1978 წლის 16 იანვარს დაიწყება სიდნეიში (შეჯიბრებები საწყლოსნო სპორტში ჩატარდება 18 იანვარს ოლიმპიურ აუზში).

მსოფლიო ფეხბურთის ამბები

6.219 ჟურნალისტი!

როგორც მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, უკვე მიღებულია 6.219 ჟურნალისტის თხოვნა გათამაშების პრეს-ცენტრში აკრედიტაციის შესახებ. მსოფლიოს წინა ჩემპიონატში ჟურნალისტთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო და 4.276-ს უდრიდა. ამჯერად ძალზე დიდია არგენტინელ ჟურნალისტთა სავარაუდო რაოდენობა — 2.595.

საორგანიზაციო კომიტეტი იუწყება, რომ მატჩების სატელევიზიო გადაცემას 4 ტელეკომპანია ითავებს.

1979 წელს — იაპონიაში

ჭაბუკთა მეორე მსოფლიო ჩემპიონატი ფიფა-ს გადაწყვეტილებით 1979 წელს გაიმართება იაპონიაში. მასში მონაწილეობა 96 ქვეყნის ნაკრებს სურს. ვინაიდან ფინალში მხოლოდ 16 უძლიერესი კოლექტივი ითამაშებს, 1978 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე გაიმართება შესარჩევი თამაშები.

„ვასკო და გამას" მიღწევები

„ვასკო და გამამ" გაუგონარი შედეგით დაამთავრა რიო-დე-ჟანეიროს შტატის ჩემპიონატი. პირველ წრეში მან 14 მატჩიდან 13 მოიგო და 1 ფრედ დაასრულა (40 ბურთი გაიტანა და 5 მიიღო), მეორე წრეში 12 მოიგო და 2 ფრედ დაასრულა (ბურთების სხვაობა 29-0). გუნდმა შორს ჩამოიტოვა ყველა დანარჩენი მეტოქე, რაც მწვრთნელ ფანტონის დიდ წარმატებად მიაჩნიათ.

მომდევნო ადგილებზე არიან „ფლამენგო" (რომელსაც ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი კუტინიო უდგას სათავეში), „ბოტაფოგო" და „ფლუმინენსე". „ბოტაფოგოს" შემადგენლობაში ჩინებულად თამაშობდა რიველინო, მაგრამ მას სხვები ვერ უბამდნენ მხარს.

სან-პაულუს შტატში I-II ადგილები გაიყვეს „კორინტიანსმა" და „პონტე პრეტომ", რომლებსაც თანაბარ ქულებთან ერთად ბურთების ერთნაირი სხვაობაც აღმოაჩნდათ.

მაიერის იშვიათი რეკორდი

მიუნხენის „ბაიერნის" მეკარე მაიერი იშვიათი რეკორდის პატრონია. მან ბუნდესლიგაში უკვე 420-ზე მეტი მატჩი ითამაშა და გააუმჯობესა ცნობილი ნახევარმცველის ოვერატის რეკორდი (408 მატჩი). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბოლო 383 მატჩი მაიერმა ზედიზედ ჩაატარა და არც ერთი არ გამოუტოვებია რაიმე მიზეზით.

„შაბათის სპორტლოტო"

10 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს" (36-დან 5) მორიგი, 50-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები.

პირველი: 6 (კლასიკური ჭიდაობა), 8 (საგზატკეცილო ველორბოლა), 17 (ციგურაობა), 26 (სამბო), 31 (ძალოსნობა).

მეორე: 7 (ველოტრეკი), 8. (საგზატკეცილო ველორბოლა), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 30 (სასტენდო სროლა).

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.